არჩილ ჩაჩხიანი

1920 წელი „ჩვენ მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე ვდგავართ...“

1920 წლის ბოლოსათვის პირველ ქართულ რესპუბლიკაში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გაანალიზება და მისი ზოგიერთი მომენტის წარმოჩენა საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ბოლშევიკურ რუსეთს შორის არსებული სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობა და მისი შედეგები. ამ კონტექსტში რამდენიმე საკვანძო კითხვას უნდა გაეცეს პასუხი – ფლობდა თუ არა ქართული სახელმწიფო ბოლშევიკური რუსეთის საომარი სამზადისის შესახებ ინფორმაციას? რამდენად ადეკვატურად აღიქვამდნენ საქართველოს სამთავრობო თუ სამხედრო წრეები საგარეო საფრთხეების ხარისხს და ემზადებოდა თუ არა ქვეყანა ბოლშევიკურ რუსეთთან მოსაღოდნელი ომისათვის?

ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია აზრი, რომ 1921 წლის 12 თებერვლის გამთენიისას, ბორჩაღოს მაზრის ქვედა ზონაში ბოლშევიკთა მიერ დაწყებული სრულმასშტაბიანი სამხედრო ინტერვენცია მოულოდნელი იყო ქართული სახელმწიფოსათვის. თითქოსდა ბოლომდე არ იყო იდენტიფიცირებული მოწინააღმდეგის ვინაობა, მისი შეიარაღებული ძალების შემადგენლობა და რიცხოვნობა, დარტყმის მთავარი და დამხმარე მიმართულებები, საბრძოლო მოქმედებების გეგმები და ა.შ. ასეთ მოსაზრებებს ძირითადად მემუარულ ლიტერატურაში ვხვდებით (გ. კვინიტაძე, გ. მაზნიაშვილი, შ. მაღლაკელიძე, აკ. კვიტაიშვილი, აღ. ჩხეიძე, ვ. თევზაძე, რ. გაბაშვილი და

სხვ.). საკითხისადმი ამგვარი მიდგომა გარკვეულწილად გასაგებიცაა, რადგან ხსენებულ ავტორებს არ ჰქონდათ სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის შემუშავებული, სამხედრო ხასიათის მქონე, სრულიად საიდუმლო დოკუმენტებზე წვდომა, ხოლო მემუარული ლიტერატურა არ შეიძლება მივაკუთვნოთ უტყუარ პირველწყაროს. არც ისაა სადავო, რომ ნებისმიერ მემუარში, ნებსით ნუ უნებლიეთ, უამრავი დიდ-პატარა უზუსტობა თუ შეცდომა შეიძლება იყოს დაშვებული.

მეორე მხრივ კი, ნიშანდობლივია, რომ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მიზანმიმართულად ტარდებოდა ის იდეოლოგიური ხაზი, რომელიც ბოლშევიკთა საგარეო-პოლიტიკური კურსის წარმოჩენასა და ისტორიის ფალსიფიკაციას ემსახურებოდა.

ეს პროდუქცია ათწლეულების განმავლობაში წარმატებით ვრცელდებოდა ათეულობით საბჭოთა ავტორის ასეულობით ნაშრომსა თუ წიგნში. საბჭოური იდეოლოგიის ამ ხაზს დასაბამი „წითელი პროფესურის“ თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ისააკ მინცმა დაუდო – ისტორიკოსმა, აკადემიკოსმა, სოციალისტური შრომის გმირმა, ორგზის სტალინის პრემიისა და ლენინური პრემიების დაურეატმა, საბჭოთა ისტორიოგრაფიული სკოლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა და საბჭოური იდეოლოგიის აპოლოგეტმა. მისი ნაშრომი „Победа советской власти в Закавказье“ („საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ამიერკავკასიაში“) ამ იდეოლოგიის კლასიკურ ნიმუშად და გზამკვლევად იქცა ისტორიის საბჭოური სკოლის შემდგომი წარმომადგენლებისათვის. ამ ნაშრომის შესავალი ნაწილი ასეთი წინადადებით იწყება: „ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებასთან დაკავშირებული მოვლენები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიის ანალებში შევიდა, რომელმაც მსოფლიოს სოციალური პრობლემების გადაჭრის მოდელი უჩვენა: ექსპლუატატორთა ხელისუფლების დამხობა, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, კერძო ბურჟუაზიულ-მემამულური საკუთრების საზოგადოებრივ, სოციალისტურ საკუთრებად გადაქცევა, აგრარული საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა გლეხების სასარგებლოდ, დამოკიდებული ხალხების განთავისუფლება კოლონიური და ეროვნული ჩაგვრისაგან, სოციალიზმის აღმშენებლობისათვის პოლიტიკური და ეკონომიკური წინაპირობების შექმნა. სოციალისტური რევოლუციისათვის ამიერკავკასიის მშრომელი ხალხის ბრძოლა იმ რევოლუციური პროცესის ორგანულ ნაწილს შეადგენს, რომელმაც ჩვენი ქვეყნის სოციალური მსოფლმხედველობა და, როგორც ვ. ი. ლენინმა აღნიშნა, მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა გახსნა...“[1]

„საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ ვკითხულობთ: „კომუნისტურმა გაზეთმა „სოხუმსკაია პრავდა“ დაუნდობელი და მამხილებელი ბრძოლა გააჩაღა მესაბოტაჟეების, სპეკულანტების, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტების წინააღმდეგ. გაზეთი ამავე დროს მასებს ინტერნაციონალური სოლიდარობისაკენ მოუწოდებდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში, სისტემატურად აშუქებდა რსფსრ-ის მთავრობის ღონისძიებებს სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისა და მსოფლიოში ხალხთა შორის მშვიდობის დამყარებისათვის, ამხელდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ ხელისუფალთ და აშუქებდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის იმ მძლავრ რევოლუციურ ბრძოლას, რომელსაც ამიერკავკასიის მშრომელი მასები ეწეოდნენ ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით“.[2]

ისააკ მინცი (1896 — 1991)

არნოლდ კადიშევის საფლავი ნოვოდევიჩის სასაფლაოზე მოსკოვში (1895 — 1968)

არნოლდ კადიშევიც, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლკოვნიკი, სამხედრო ისტორიის ერთერთი კეთილსინდისიერი მკვლევარი, ცხადია, ვერ ასცდებოდა საბჭოური იდეოლოგიის ამ ზეგავლენას თუ მოთხოვნას. თავის ნაშრომში „Интервенция и гражданская война в Закавказье“ („ინტერვენცია და სამოქალაქო ომი ამიერკავკასიაში“) კადიშევი წერს: „თავისი მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის ერთგული საბჭოთა მთავრობა

РОССИЙСКАЯ СОЦИАЛИСТИЧЕСКАЯ ФЕДЕРАТИВНАЯ СОВЕТСКАЯ РЕСПУБЛИКА

НАРОДНЫЙ КОМИССАРИАТ ПО ИНОСТРАННЫМ ДЕЛАМ

СБОРНИК
ДЕЙСТВУЮЩИХ ДОГОВОРОВ,
СОГЛАШЕНИЙ и КОНВЕНЦИЙ,

ВЫПУСК I.
ДЕЙСТВУЮЩИЕ ДОГОВОРЫ, СОГЛАШЕНИЯ И КОНВЕНЦИИ,

ИЗДАНИЕ ВТОРОЕ

ПЕТЕРБУРГ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
1922


Отдел II.

ДОГОВОРЫ ОБ УСТАНОВЛЕНИИ СНОШЕНИЙ.

№ 11.

Мирный договор между Р. С. Ф. С. Р. и Демократической Республикой Грузии, заключенный в Москве 7 мая 1920 года.

Российская Социалистическая Федеративная Советская Республика, с одной стороны, и Демократическая Республика Грузии—с другой, руководимые общим желанием установить между обеими странами прочное и мирное сожительство на благо населяющих обе страны народов, решили заключить для сего особый договор и назначили для сего своими уполномоченными:

Правительство Российской Социалистической Федеративной Советской Республики—Заместителя Народного Комиссара по Иностранным Делам Льва Михайловича Карахана и Правительство Демократической Республики Грузии—Члена Учредительного Собрания Грузии Григория Илларионовича Уратадзе. Означенные уполномоченные по взаимном освидомлении о своих полномочиях, признанных дающими перечисленным выше лицам право на подписание настоящего договора, согласились о нижеследующих статьях:

Статья I.

Исходя из провозглашенного Российской Социалистической Федеративной Советской Республикой права всех народов на свободное самоопределение вплоть до полного отделения от Государства, в состав которого они входят, Россия безоговорочно признает независимость и самостоятельность Грузинского Государства и отказывается добровольно от всяких суверенных прав, кои принадлежали России в отношении к Грузинскому народу и земле.

Статья II.

Исходя из провозглашенных в предшествующей статье I настоящего договора принципов, Россия обязуется отказаться от всякого рода вмешательства во внутренние дела Грузии.

1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რსფსრ-ს შორის მოსკოვში დადებული ხელშეკრულება

სულ მცირე შესაძლებლობასაც კი არ უშვებდა ხელიდან, რომ საქართველოსთან, ისევე, როგორც ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებთან არსებული უთანხმოებები მშვიდობიანი გზებით მოეგვარებინა“...[3]

ისტორიული რეალობა კი ისაა, რომ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლიდან სულ მცირე ხანში, ლენინმა და მისმა თანამოაზრეებმა მოკლევადიანი დემოკრატიული პრელუდია დაასრულეს. ისინი აქტიურ სამხედრო მოქმედებებზე გადავიდნენ და ყოფილი ცარისტული იმპერიის მთელ ტერიტორიაზე შეიარაღებული გზით დაიწყეს იდეოლოგიური ექსპანსიისა და პროლეტარული ნეოკოლონიალიზმის ხანგრძლივი და სისხლიანი პროცესი... საქმეში ერთობ წონიანი არგუმენტიც – „მუშურ-გლეხური წითელი არმია“ (РККА – Рабоче-крестянская Красная армия) ჩართეს და „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ ცეცხლი ააგიზგიზეს აღმოსავლეთ ევროპაში.

ჩთული საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, რუსულ-ქართული ურთიერთობების მოგვარებისათვის ზრუნვა ქართულმა სახელმწიფომ ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე დაიწყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი დიპლომატიური მისია მოსკოვში უკვე 1918 წლის 11 ივნისს გაიგზავნა, მაგრამ უშედეგოდ.

რუსულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები მხოლოდ ორი წლის შემდეგ, 1920 წლის გაზაფხულისათვის, დარეგულირდა თითქოს, როდესაც 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც კრემლმა ცნო ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. მსოფლიო პოლიტიკაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მეტროპოლიამ თავისი ყოფილი ტერიტორიის ნაწილის დამოუკიდებლობა უფრო ადრე აღიარა, ვიდრე ამას სხვა ქვეყნები გააკეთებდნენ.[4]

ჩვენ არ შევუდგებით 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების პუნქტობრივ განხილვას, რადგან ამ საკითხს უამრავი კვლევა ეძღვნება. აქ მხოლოდ ხელშეკრულების ერთ-ერთ

მუხლს შევეხებით, რომელიც საიდუმლო დამატებაში იყო მოცემული:

„საქართველო ვალდებულებას იღებს აღიაროს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კომუნისტური ორგანიზაციების უფლება თავისუფალი არსებობისა და მოღვაწეობის შესახებ, კერძოდ, კრებების თავისუფალი მოწყობის უფლება და გამომცემლობის თავისუფლება (მათ შორის ბეჭდვითი ორგანოებისა).

არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება იქნეს გამოყენებული არავითარი რეპრესიები, არც სასამართლო და არც ადმინისტრაციული ხასიათისა, არც კერძო პირების და არც ორგანიზაციების მიმართ, თუ ეს ეხება კომუნისტური პროგრამის სასარგებლო სახალხო პროპაგანდასა და აგიტაციას, ასევე მათ ქმედებებს, რომლებიც კომუნისტურ პროგრამაზეა დაფუძნებული“.[5]

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა ცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, სამაგიეროდ, მიაღწია საქართველოში მოქმედ ბოლშევიკთა საქმიანობის ლეგალიზებას. შეთანხმების სწორედ ამ პუნქტმა გაუხსნა ხელ-ფეხი ბოლშევიკებისა და

სერგეი კიროვი (1886 – 1934) და სერგო ორჯონიკიძე (1886 – 1937)



ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის მიერ 1955 წელს გამოქვეყნებული სპეციალური ანგარიში „Communist Takeover and Occupation of Georgia“

სხვა ათასი ჯურის ავანტიურისტის შეუზღუდავ ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებებს, მიმართულს საქართველოს სახელმწიფოებრივი საფუძვლების წინააღმდეგ. მაღე კი თბილისში რუსეთის ფედერაციის ოფიციალური, 300-კაციანი წარმომადგენლობაც გაიხსნა, რომელსაც კავკასიის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრი, სერგო ორჯონიკიძის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი სერგეი კოსტრიკოვ-კიროვი[6] ჩაუდგა სათავეში. ფაქტობრივად, საქართველოში კრემლისა და ბოლშევიკთა კავბიუროს სადაზვერვო რეზიდენტურა დაფუძნდა.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის მიერ 1955 წელს გამოქვეყნებულ სპეციალურ ანგარიშში „Communist Takeover and Occupation of Georgia“ („საქართველოს კომუნისტური სამხედრო გადატრიალება და ოკუპაცია“), ვკითხულობთ: „[კიროვმა] დაუყოვნებლივ დაამყარა ახლო კონტაქტები საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერებთან და

დაიწყო ახალგაზრდა რესპუბლიკის შიგნიდან ასაფეთქებლად ქსელების გამართვა. მის განკარგულებაში იყო შეუზღუდავი ფინანსები, სამსახურში კი გამოცდილი აგიტატორების, პროვოკატორებისა და აგენტების დიდი რაოდენობა. ორგანიზებულ იქნა კომუნისტური უჯრედები და ჯგუფები და „მეხუთე კოლონაც“ მომზადდა. სამშვიდობო ხელშეკრულების VI მუხლის პირდაპირი დარღვევით კი საქართველოს ფარგლებს გარეთ შეიქმნა „საქართველოს მთავრობა“.[7] „საქართველოს მთავრობაში“, აქ, ბოლშევიკთა მიერ შექმნილი „რევკომი“– „რევოლუციური კომიტეტი“, ანუ დასაპყრობი ქვეყნის მომავალი დროებითი მთავრობა იგულისხმება. რუსულ საოკუპაციო ჯარს, ჩვეულებრივ, თავის საფრონტო მარაგებთან ერთად დასაპყრობი ქვეყნისათვის განკუთვნილი მთავრობაც თან დაჰყავს, რომლის ამოცანაც რუსეთის ნებისმიერი მოქმედების ლეგალიზება და გამართლება იქნება.[8] ეს ისტორიულად დადასტურებული ფაქტია.

საქართველო, როგორც დიპლომატიური და საერთაშორისო ვალდებულებების ერთგული სამართლებრივი სუბიექტი, მორჩილად შეუდგა 7 მაისის ხელშეკრულების პირობების აღსრულებას.

უკვე 11 მაისს გამართულ მთავრობის სხდომაზე (ოქმი №2041) მიიღეს შემდეგი დადგენილება:

***1.** საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენება მიღებულ იქნეს ცნობად და შინაგან საქმეთა მინისტრმა დაუყოვნებლივ მოიყვანოს სისრულეში ხელშეკრულების მე-109 მუხლი (ბოლშევიკების ციხიდან განთავისუფლების შესახებ გარდა იმ პირთა, რომელთაც ბრალად ედებათ სისხლის სამართლის საქმე).*

***2.** რუსეთში გასაგზავნი ეკონომიკური და სავაჭრო კომისიის შედგენა დაევალოს ფინანსთა და მომარაგების მინისტრებს.*

***3.** საზღვრების კომისია კი შეადგინონ შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრმა, ამ უკანასკნელის თავმჯდომარეობით.[9]*

დადგენილებას საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე, ნოე ჟორდანია აწერდა ხელს.

1920 წლის შემოდგომიდან მდგომარეობა იცვლება. „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ ექსპორტის მიზნით პოლონეთის წინააღმდეგ დაწყებული ომი რუს ბოლშევიკთა გამანადგურებელი მარცხით დასრულდა. 1920 წლის 12 ოქტომბერს, რიგაში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ. სხვათა შორის, ამ მოლაპარაკებებზე საბჭოთა რუსეთის დელეგაციას ზემოხსენებული სერგეი კიროვი ხელმძღვანელობდა. რიგის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ბოლშევიკებს ხელ-ფეხი გაეხსნათ საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებების შემდგომი ესკალაციისათვის. საქართველოს გარშემო დაიწყო შიდა და გარე ინტრიგების ხლართვა, ახალი ძალებისა და საშუალებების თავმოყრა ამიერკავკასიაში, სამხედრო ინტერვენციის ახალი სტრატეგიების შემუშავება. საქართველოს სადაზვერვო სამსახურებმა მოიპოვეს ბოლშევიკთა სამხედრო ინტერვენციის გენერალური გეგმა.[10]

მე-11 წითელი არმიის სარდალი ანატოლი ჰეკერი[11] თავის 1920 წლის 12 დეკემბრის საიდუმლო მოხსენებით ბარათში კავკასიის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარეს, სერგო ორჯონიკიძეს, საქართველოს ინტერვენციის კონტექსტში აცნობდა ზოგად ოპერატიულ ვითა-რებას და არმიის წინაშე მდგარ ამოცანებს.

მოხსენებით ბარათში ხაზგასმული იყო ის ფაქტი, რომ „თურქებთან ურთიერთობის წინასწარი მოგვარების გარეშე, საშიში იქნებოდა საქართველოს წინააღმდეგ მილიტარული ოპერაციების დაწყება“.[12]

რაც შეეხება თურქეთს, იქ აგორებულ წინააღმდეგობის ახალ მოძრაობას – ქემაღიზმს და ბოლშევიკურ-ქემაღისტურ ურთიერთობებს. ეს საკითხი სცილდება ჩვენს თემას, ამიტომ ამჯერად მას არ განვიხილავთ. მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ 1919 წლის გაზაფხულზე, რუს ბოლშევიკებსა და თურქ ქემაღისტებს შორის ჩამოყალიბდა სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი ანტანტის ქვეყნებისა და ე.წ. „მსოფლიო იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ საბრძოლველად.

1920 წლის გაზაფხულიდან კი ამ ახლად ჩამოყალიბებულმა ალიანსმა დაიწყო ამიერკავკასიის ტერიტორიების ხელახალი გადანაწილების სისხლიანი პროცესი.

ანატოლი ჰეკერი (1888 — 1937)

1920 წლის აპრილის ბოლოს თურქი ქემალისტების მხარდაჭერით რუსმა ბოლშევიკებმა ბაქოსა და აზერბაიჯანის ოკუპაცია მოახდინეს, ხოლო იმავე წლის ნოემბრის ბოლოს რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური სამხედრო შენაერთები სომხეთში შევიდნენ და იქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. დღესავით ნათელია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გარშემო წითელი რკალი იკვრებოდა. მოსალოდნელ საფრთხეებზე რეაგირებისა და შესაბამისი თავდაცვის ზომების გატარების მიზნით საქართველოში იქმნება სახელმწიფოებრივი მართვის უმაღლესი ორგანო – „თავდაცვის საბჭო“, ორგანიზაცია, რომელსაც პასუხისმგებლობა უნდა აეღო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე. საბჭოს შემადგენლობაში რესპუბლიკის მთავრობის წევრები, სახალხო გვარდიის ხელმძღვანელობა და გენერალური შტაბის უფროსი შევიდნენ.

თავდაცვის საბჭოს პირველი სხდომა 1920 წლის 9 ნოემბერს შედგა.[13] საბჭოს მეორე სხდომაზე, რომელიც 11 ნოემბერს ჩატარდა, დაარსდა თავდაცვის ფონდი, სადაც 2 მილიარდი მანეთი შეიტანეს.[14] მეტად მნიშვნელოვანი იყო თავდაცვის საბჭოს №4 და №10 სხდომები, რომლებიც შესაბამისად 1920 წლის 12 და 19 ნოემბერს ჩატარდა. თავდაცვის საბჭოს ამ სხდომებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ნოე ჟორდანია თავმჯდომარეობდა. სხდომაზე მე-3 პუნქტად გაიტანეს საკითხი „ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილის დაუყოვნებლივი დაკავების და სამხედრო წესების გამოცხადების“ შესახებ. საქმე იმაშია, რომ ამ მომენტისათვის უკვე დაწყებული იყო ქემალისტური თურქეთის შეიარაღებული ძალების მე-15 საარმიო კორპუსის შენაერთების ინტერვენცია სომხეთის დასავლეთ ნაწილში. თურქთა შემდგომი აგრესიისაგან ბორჩალოს ქვედა ნაწილში, ანუ ღორეს ე.წ. „ნეიტრალურ ზონაში“ მცხოვრები სომხური მოსახლეობის დაცვისა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სომხეთის რესპუბლიკის დელეგაციამ თხოვნით მიმართა ქართულ მხარეს ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილში ქართული სამხედრო ქვედანაყოფების შეყვანის შესახებ, რაც დაუყოვნებლივ იქნა დაკმაყოფილებული.[15]

თავდაცვის საბჭოს №10 სხდომის ოქმს კი შემდეგი სახე ჰქონდა:

თავდაცვის საბჭოს №10 სხდომა.
1920 წლის 19 ნოემბერი. სრულიად საიდუმლო.

თავმჯდომარე: *მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.*
წევრები: *სამხედრო მინისტრის თანაშემწე, გენერალი ოდიშელიძე,[16] შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ჭიჭინაძე, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი ვ. ჯუღელი.*
დამსწრენი: *სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი ალ. დგებუაძე, გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ზაქარიაძე.*

მე-3 პუნქტი. *მოხსენება გენერალ ოდიშელიძესი ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონის შესახებ სომხეთის მთავრობასთან დადებულ ხელშეკრულებაზე.*

დაადგინეს: ჯერ-ჯერობით ჩვენი ჯარები დარჩეს ნეიტრალურ ზონაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ოსმალებმა დაიკავეს კარაკლისი (დღევანდელი ვანაძორი, საბჭოთა პერიოდის კიროვაკანი – ა. ჩ.) და გამოჩნდნენ ბეზობდალის უღელტეხილზე, ჯარი გაყვანილ იქნას ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილიდან და ჩვენი ჯარის მიერ დაკავებული იქნას ეს რაიონი მაზრის სამხრეთ საზღვრამდის წაწევით.

მე-4 პუნქტი. *მოხსენება გენერალ ოდიშელიძესი ბორჩალოს მაზრაში სახალხო გვარდიის მოგიერთი ნაწილის დაუყოვნებლივ გაგზავნის საჭიროების შესახებ.*

დაადგინეს: *წინადადება მიეცეს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ყოველთვის აცნობოს გენერალურ შტაბს ყველა მის მიერ ნაწილებისადმი გაცემული ოპერატიული ხასიათის ბრძანებები.[17]*

1920 წლის 2 დეკემბერს მე-11 წითელი არმიის შენაერთები შევიდნენ ერევანში და იქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ამ დროისათვის, ბოლშევიკებისგან მომავალი საფრთხეების გათვალისწინებით, საქართველოში უკვე შექმნილია ე.წ. „სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტი“ და 1920 წლის 22 ნოემბერს მის სარდლად გენერალი იოსებ გედევანიშვილი ინიშნება.[18] 4 დეკემბერს კი ,,თბილისის სიმაგრეების რაიონის კომენდანტად“ გენერალი გიორგი მაზნიაშვილი დაადგინეს.[19]

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის დაიგეგმა გარკვეული ზომების გატარება: მობილიზაცია, ხიდების დანაღმვა, დამატებით ერთი ჯავშნოსანი მატარებლის აგება, სატელეგრაფო ხაზების გაყვანა მოსალოდნელი აგრესიის მიმართულებებზე, გზების შეკეთება, იარაღის, აღჭურვილობის, სამოსის, ნავთობის, საბურავების, საბრძოლო მასალების შეძენა, ცხენებისა და საზიდრების რეკვიზიციების ჩატარება, ღორეს ზონაში მოსახლეობის

გიორგი მაზნიაშვილი (1870 – 1937)

ილია ოდიშელიძე (1865 – 1924)

განიარაღება, ფოიღოს ხიდის რაიონში დისღოცირებული ქვედანაყოფებისათვის ყაზარმების მოწყობა...

1920 წლის 13 დეკემბერს გამართულ თავდაცვის საბჭოს 22-ე სხდომაზე, ჯარების ოპერატიული მართვისა და ერთიანობისათვის საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად, საქართველოს სამხედრო მინისტრის თანაშემწე (მოადგილე), გენერალი ილია ოდიშელიძე ინიშნება.[20]

ახლა კი ყველაზე მნიშვნელოვანი... საარქივო მასალებზე მუშაობისას ერთ საინტერესო დოკუმენტს მივაკვლიეთ. მისი ორიგინალი რუსულ ენაზე, ღურჯი მელნით მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტია. ესაა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწის, საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ ილია ოდიშელიძის მიერ შედგენილი სამხედრო-სტრატეგიული ხასიათის სრულიად საიდუმლო მოხსენება ბოლშევიკებისგან მომავალი საფრთხეებისა და მათი პრევენციისათვის საჭირო ზომების გატარების შესახებ. მოხსენებაში წარმოდგენილი ღრმა პროფესიული ანალიზი და გაკეთებული პროგნოზები დიდი სიზუსტითა და სკრუპულოზურობით

ნიკოლოზ (პარმენ) ჭიჭინაძე (1873 — 1921)



ალექსანდრე დგებუაძე (1882 — 1937)

ალექსანდრე ზაქარიაძე (1884 — 1957)

გამოირჩევა. ნათლად ჩანს ანალიტიკოსის ღოგიკა და საომარ მოქმედებათა თეატრების სტრატეგიული ხედვა, გამოტანილი დასკვნების სიზუსტე და მოთხოვნების კატეგორიულობა, ამავე დროს შინაგანი განგაშის ის ცუდად დაფარული განცდა, რაც მთელ დოკუმენტს წითელი ხაზივით გასდევს. ქვემოთ წარმოდგენილი ეს საარქივო დოკუმენტი სრულად ასახავს 1921 წლის დასაწყისისათვის ამიერკავკასიის რეგიონში არსებულ სამხედრო-ოპერატიულ ვითარებას. იგი საკმაოდ ტევადია, ამიტომ ჩვენ მხოლოდ უმნიშვნელოვანეს მომენტებზე გავამახვილებთ ყურადღებას:

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი ვალიკო ჯუღელი (უკანა სავარძელზე, მარჯვნივ)

„საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.
სამხედრო მინისტრის თანაშემწე.
1921 წლის 3 იანვარი. №64/49
ქაღ. ტფილისი. სრულიად საიდუმლო.
გაცნობისთანავე ექვემდებარება თავდაცვის საბჭოში დაბრუნებას.
ასღი: სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსს, სამხედრო მინისტრს.

შენიშვნა 1. *ოფიციალური წერილობითი სახის მოხსენება ჩემი და გენშტაბის უფროსის ხელმოწერებით, წარმოდგენილი იყო უფრო ადრე, 1920 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში. კიდევ უფრო ადრე, მე ოფიციალურად, სიტყვიერად მოვახსენე ამის შესახებ მთავრობას ერთ-ერთ სხდომაზე. არსებობს ამ სხდომების ოქმები. 1920 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის მოხსენებები არსით იგივეა: რუსეთთან გარდაუვალი ომის გამო ისინი მოითხოვდნენ არმიის გაძლიერებასა და მომზადებას.*

შენიშვნა 2. *1920 წლის ნოემბერში მე გავაკეთე ოფიციალური მოხსენება სამხედრო და საგარეო სამინისტროების გაერთიანებული კომისიისა და დამფუძნებელი კრების ფრაქციების წინაშე – საერთო ჯამში, ოქტომბერ-ნოემბერში ოთხჯერ. და ყოველთვის ერთი დასკვნით:* ***ჩვენ მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე ვდგავართ.*** *(ხაზგასმულია დოკუმენტში – ა. ჩ.).*
გასული წლის ნოემბრის თვესა და დეკემბრის დასაწყისში ჩვენს ხელთ არსებული ყველა მონაცემის საფუძველზე, ცხადი იყო, რომ საბჭოთა რუსეთის სარდლობა დეკემბრის შუა რიცხვებისათვის აპირებდა რესპუბლიკაზე საერთო შეტევის დაწყებას, მაგრამ როგორც ჩანს, ძალიან დიდი გათვლები იყო გაკეთებული ქვეყნის შიგნიდან აფეთქებაზე, რაც ქვეყანაში შემოჭრის სიგნალი უნდა გამხდარიყო. მაგრამ თვით რუსეთში არსებულმა პოლიტიკურმა გარემოებებმა, რასაც მე-11 არმიის სარდალი ჰეკერი აღნიშნავდა, ჩაშალეს ეს გეგმები და დაპროექტებული შეტევა არ განხორციელდა.
თუმცა დეკემბერში დაგეგმილი შეტევის გადადება არ ნიშნავს საბჭოთა რუსეთიდან მომავალი საფრთხის გაქრობას. ბოლშევიკები, როგორც ჩანს, ემზადებიან ჩვენთან ომისათვის, რაც ჩანს უკვე ნახსენები მე-11 არმიის სარდლის მოხსენებიდან, რომელიც რეკომენდაციას იძლევა გადაიდოს საქართველოზე თავდასხმა განსაზღვრული პირობების შესრულებამდე: აზერბაიჯანში შვიდი ქვეითი დივიზიისა და მეორე ცხენოსანი არმიის თავმოყრა (30000-მდე ხიშტი და 5000 ხმაღი), განჯაში პურის მარაგების შემოტანა დეკემბრისა და იანვრის განანესებით, თურქულ სარდლობასთან შეთანხმების მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს თურქთა მხრიდან საბჭოთა შეტევას, (ზუსტად ასეა ტექსტში – Обеспечивающаго Совътского наступленіе со стороны Турокъ – ა. ჩ.) და ბოლოს, მე-9 არმიის გადაჯგუფება (განლაგებული იყო ყუბანის ოლქში), რის შესახებაც მთავარსარდალმა კამენევმა[21] გასცა განკარგულება“.[22]

ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო მოლაპარაკება

შემდეგ გენერალი ოდიშელიძე საუბრობს იმაზე, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალები და რა გადაუდებელი ზომების გატარება იყო საჭირო მისი ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად. უპირველეს ყოვლისა, იგი იმ სამხედრო-პოლიტიკური გარემოებების აღწერას წარმოადგენს, რასაც ადგილი ჰქონდა მოცემულ მომენტში. მის ხელთ არსებული სადაზვერვო-ოპერატიული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე იგი თავდაცვის საბჭოს აწვდის ინფორმაციას, რომ აღმოსავლეთის ფრონტის წინააღმდეგ, წითელი ხიდიდან ზაქათალამდე მოემართება რუს ბოლშევიკთა მე-11 წითელი არმიის აქტიური ჯგუფი 6-7 ქვეითი დივიზიისა და 5 საკავალერიო დივიზიის შემადგენლობით (30000-მდე ხიშტი და 4-5 ათასი ხმალი); პასიური მიმართულებების – ვლადიკავკაზისა და სოჭის დასაფარავად რჩებოდა თითო დივიზია (8000-მდე). თუ ამას დავუმატებდით ცხინვალის რეგიონში ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსების შემოჭრის შესაძლებლობას, რაოდენობით 3000 კაცამდე (სადაზვერვო მონაცემებით ჩრდილოეთ კავკასიაში), მაშინ საბჭოთა რუსეთის მხრიდან ჩვენს წინააღმდეგ მოსალოდნელი იყო ბოლშევიკთა 40000-იანი ქვეითი ჯარისა და 5000-იანი საკავალერიო შენაერთის შემოჭრა. ამასთან, მოწინააღმდეგის აქტიური ჯგუფი, 30000-იანი ქვეითი ჯარი, საქართველოს წინააღმდეგ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებზე იმოქმედებდა.

აქვე იგი საუბრობს იმაზე, რომ საქართველოსთან ომის შემთხვევაში, უკვე გასაბჭოებული სომხეთის მთავრობაც, რა თქმა უნდა, რუსებს დაუდგებოდა გვერდზე და ასეთ შემთხვევაში მე-11 არმიასთან ერთად 10-15-ათასიანი საბჭოთა სომხეთის ჯარიც უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

უფრო ქვემოთ მომხსენებელი ეხება ქემალისტებს და ზუსტ პროგნოზს აკეთებს იმის შესახებ, რომ ომის საწყის ეტაპზე ქემალისტები არ დაიწყებდნენ აქტიურ საომარ მოქმედებებს და დაელოდებოდნენ პირველი ბრძოლების შედეგს. ქართული მხარის წარუმატებლობის შემთხვევაში კი დაუყოვნებლივ დაიკავებდნენ იმ ოლქებს, რომლებიც მათ ჰქონდათ გადაცემული ბრესტ-ლიტოვსკის ზავით,[23] ანუ ბათუმის ოლქს და არდაგანს. აქვეა შეფასებული ამიერკავკასიაში გაშლილი თურქ ქემალისტთა ძალები – მე-15 საარმიო კორპუსის 35-ათასიანი კონტინგენტი.

საბოლოოდ ოდიშელიძე ასკვნის, რომ საბჭოთა რუსეთთან ომის დაწყების შემთხვევაში, ქართულ მხარეს საქმე ექნებოდა 50-60000-იან რუსულ-სომხურ ჯართან, მათთან თურქების შეერთებით კი – 75-90-ათასიანთან. ამასთან, ყველაზე აქტიური იქნებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთის საომარ მოქმედებათა თეატრი, საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრები, რესპუბლიკის ადმინისტრაციული, პოლიტიკური და სამხედრო ცენტრის – თბილისის ხელში ჩასაგდებად.

ამის შემდეგ გენერალი აღნიშნავს, რომ ამ მონაცემებზე დაყრდნობითა და ასევე ჩვენი გეოგრაფიული და

სტრატეგიული მდებარეობის გათვალისწინებით (ცენტრალური მდებარეობა და შიდა საოპერაციო ხაზებზე მოქმედებები), საჭირო იქნებოდა დაუყოვნებლივ ინიციატივის ხელში აღება და საზღვრების ნებისმიერ უბანზე მოწინააღმდეგესთან შედარებით აღმატებული ძალების თავმოყრა. მაგალითად, საბჭოთა რუსეთის შეტევის შემთხვევაში აღმოსავლეთ საზღვრებთან უნდა მომხდარიყო 35000-იანი, ხოლო სამხრეთში – 10000-იანი ქართული ჯარის თავმოყრა, ამასთან ერთად, სხვა მიმართულებებისათვის რეზერვში უნდა დარჩენილიყო 15000-იანი ჯარი. ამგვარად, ჩვენი შეიარაღებული ძალების საერთო რიცხვი უნდა ყოფილიყო 60000 ხიშტი და ხმაღი. წარმატებული თავდაცვითი ბრძოლების საწარმოებლად კი ქართული ჯარების მოქმედების ხასიათი უნდა ყოფილიყო მხოლოდ აქტიური, სწრაფი და ენერგიული, რაც გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, ქართული მხარის სტრატეგიული მდგომარეობით და მეორე მხრივ, ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობით, რომელიც არ იძლეოდა ხანგრძლივი ომის წარმოების საშუალებას. გენერალი ოდიშელიძე, როგორც მეტად გამოცდილი და პროფესიონალი სამხედრო, ხაზს უსვამდა „ჩვენი ჯარისკაცის ხასიათს, რომელიც მოწოდებული იყო გმირობისა და სწრაფი მოქმედებებისათვის, მაგრამ არ უყვარდა ხანგრძლივი გასაჭირი“.

აღწერილი მდგომარეობა მოითხოვდა ჯარების უკიდურეს მობილურობას, რაც დამოკიდებული იყო გზათა და შეტყობინების სისტემის გამართულობაზე. ამ მიმართულებით კი საჭირო იქნებოდა გადამწყვეტი ზომების გატარება – რკინიგზის დაუყოვნებლივი უზრუნველყოფა საწვავის საჭირო რაოდენობით, რათა ომის დაწყების შემთხვევაში მიღწეულიყო მოძრაობის საჭირო ტემპები. მაგრამ ჯარების მობილურობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო შესაბამისი გზების, არამედ საჭაპანო ტრანსპორტის არსებობასაც. მნიშვნელოვანი იყო ასევე არტილერიასა და საკავალერიო ნაწილებში ცხენების რაოდენობა. 1920 წლის დეკემბრის მონაცემებით კი ჯარების საშტატო მოთხოვნილების მხოლოდ 40%-მდე იყო დაკმაყოფილებული ცხენებით და ისინიც უჭმელობის გამო უკიდურესად ცუდ მდგომარეობაში იყვნენ. რეალურად, საჭაპანო ტრანსპორტი ძველი, დაზიანებული და ხანგრძლივი დაშქრობებისათვის გამოუსადეგარი იყო.

შემდეგ გენერალ ოდიშელიძეს მოჰყავს ქართული რეგულარული ჯარის ნაწილებისა და შენაერთების საბრძოლო გაშლა. იგი აღნიშნავს, რომ 60 ათასის ნაცვლად საბრძოლო მწყობრში მხოლოდ 25-ათასიანი ქართული არმია იყო და ისინი შემდეგნაირად იყვნენ გაშლილი: გაგრის რაიონი – 1900 ხიშტი, ბათუმის ოლქი – 4900, ახალციხე-ახალქალაქი-ართვინის რაიონი – 4500, ლაგოდეხის რაიონი – 1000, ყაზბეგის რაიონი – 150, სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტი – 9500. დაბოლოს, რეზერვი ტფილისში – 2500 ხიშტი.

ამის შემდგომ მომხსენებელი საუბრობს გადაუდებელი სამობილიზაციო ღონისძიებების ჩატარების თაობაზე და საინტენდანტო ქონების, შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების სასწრაფოდ შესყიდვაზე. ამავე დროს დამატებითი სატელეგრაფო ხაზების გაყვანასა და მდინარე მტკვარსა და დებედაზე ხიდების მშენებლობაზე, აგრეთვე პირადი შემადგენლობისათვის ყაზარმების მოწყობაზე. წარმოდგენილ მოხსენებაში ცალკე არის ხაზგასმული ბომბდამშენი ავიაციის, ავტომობილებისა და ბენზინის შესყიდვის საკითხი.

გენერალ ოდიშელიძის მიერ, 1921 წლის 3 იანვარს, თავდაცვის საბჭოზე საქართველოს მთავრობისადმი გაკეთებული მოხსენება ასე მთავრდება:

*„ამგვარად, ჩვენი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და, ჩემი აზრით, **მომავალ გაზაფხულზე საბჭოთა რუსეთთან გარდაუვალი ომის საშიშროების გამო** (ბოლო ფრაზა ხაზგასმულია დოკუმენტში – ა. ჩ.), სასწრაფოდ უნდა გავატაროთ შემდეგი ზომები:*

***1.** 1920 წლის ახალწვეულთა კონტინგენტის სასწრაფო გაწვევა;*
***2.** ყველაფრის სასწრაფოდ მომზადება იმისათვის, რომ ჯარების რაოდენობა გაიზარდოს 60000-მდე, ზურგის ჩათვლით კი – 75000-მდე, დამატებითი კონტინგენტისა და რეზერვის გაწვევით. ამისათვის, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შეძენილი საჭირო რაოდენობის ცხენები, ხარები, ტანსაცმელი, აღჭურვილობა, იარაღი და საბრძოლო მასალა. უნდა დამზადდეს საჭირო რაოდენობის სურსათი და ფურაჟი;*
***3.** გზების სისტემის წესრიგში მოყვანა, რაც ნაჩვენებია წარმოდგენილ მოხსენებაში, რკინიგზის უზრუნველყოფა ნავთის საჭირო რაოდენობით, აგრეთვე რკინიგზის ხაზის გაყვანა მარშრუტზე წნორის წყალი – ლაგოდეხი;*
***4.** სატელეგრაფო ხაზების გაყვანა მოხსენების შესაბამისად;*
***5.** საომარ მოქმედებათა თეატრებზე ჯარებისათვის სათავსოების აშენება;*
***6.** ტექნიკური ჯარების უზრუნველყოფა ბენზინითა და რეზინით;*
***7.** დაბოლოს, აეროპლან-ბომბდამშენების შეძენა;*

*ყველა ამ ზომის გატარებას ვთვლი გადაუდებლად, რომ დარწმუნებული ვიყოთ მომავალი გარდაუვალი ომის შემთხვევაში, ომის ჩვენთვის დადებითი შედეგებით დასრულებაში. **ყოველივე ამის დაგვიანება უახლოეს მომავალში ჩაგვაგდებს უაღრესად მძიმე მდგომარეობაში** (ხაზგასმულია დოკუმენტში – ა. ჩ.).*

ორიგინალური ხელმოწერები: გენერალი ოდიშელიძე; გენშტაბის უფროსი, გენერალი ბაქარიაძე;[24]
სწორია: ი. ოდიშელიძე.“

ისტორიის შემდგომმა მსვლელობამ ცალსახად აჩვენა, რომ გენერალ ოდიშელიძის მიერ წარმოდგენილი და 1921 წლის დასაწყისისათვის ამიერკავკასიაში არსებული სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა, აქ შექმნილი

ვლადიმერ ლენინი (1870 — 1924)

იოსებ სტალინი (1878 — 1953)

ოპერატიული ვითარება, საომარ მოქმედებათა მოსაღოდნელ თეატრებზე დაპირისპირებული სამხედრო ძალების გაშლა, საქართველოსთვის მოსაღოდნელი საფრთხეები და მათი პრევენციის გზები ზუსტად იქნა შეფასებული. მაშინ, 1921 წლის დასაწყისში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამთავრობო-პოლიტიკურმა ელიტამ ადეკვატურად ვერ იმოქმედა. მან კიდევ ერთხელ არ დაუგდო ყური სიმართლის ხმას. მისმა უდიდებულესობა ისტორიამ კი სულ სხვანაირად განსაჯა...

ამ მოხსენების წაკითხვიდან სულ რამდენიმე დღეში, 1921 წლის 24 იანვარს, ი. სტალინმა რუსეთის კომუნისტური პარტიის (რკპ(ბ)) ცენტრალური კომიტეტის წევრთა წინაშე დააყენა საქართველოს საქმეებში სამხედრო ჩარევის საკითხი. დადგენილების პროექტი თვით ლენინმა დაწერა. მასში ვკითხულობთ:

1. *დაევალოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს გააჭიანუროს ურთიერთობის გაწყვეტა საქართველოსთან, ამასთან შეკრიბოს ზუსტი მასალა მის მიერ 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევების შესახებ...*
2. *შევეკითხოთ კავკასიის ფრონტს, რამდენად მომზადებული არიან ჩვენი სამხედრო ძალები საქართველოსთან დაუყოვნებლივი ან მოსაღოდნელი ომისათვის...*
3. *მიეცეს დირექტივა სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს და კავკასიის ფრონტს, თუ საჭირო იქნა, მოემზადონ საქართველოსთან ომისათვის.*

ლენინის მიერ დაწერილი პროექტი მოიწონეს. ამდენად, საქართველოს რესპუბლიკის ბედი, მისი ოკუპაციის საკითხი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 26 იანვრის პლენუმზე გადაწყდა. დანარჩენი უკვე წითელ არმიაზე იყო დამოკიდებული.[25]

ბოლშევიკთა შეიარაღებული ინტერვენციის დაწყებისა და პირველი ქართული რესპუბლიკის დასრულებამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეები იყო დარჩენილი. გენერალ ოდიშელიძის მიერ თავდაცვის საბჭოსა და საქართველოს მთავრობისადმი წაყენებული ეს კატეგორიული მოთხოვნები კი, სამწუხაროდ, დარჩა „ხმად მღაღადებისა უდაბნოსა შინა“... თუმცა ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა...

და დღესაც, ერთი საუკუნის შემდეგ, გენერალ ოდიშელიძის მიერ 1920 წლის ბოლოს და 1921 წლის დასაწყისში არაერთხელ გაჟღერებული ზარივით საგანგაშო ფრაზა – „ჩვენ მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე ვდგავართ“ – ისევ აქტუალურია...

შენიშვნები:

[1] И. С. Минц, Победа советской власти в Закавказье, Москва, 1929, с. 5.
[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი VI, თბილისი, 1973, გვ. 444.
[3] А. Б. Кадишев, Интервенция и гражданская война в Закавказье, Военное издательство министерства обороны союза ССР, Москва, 1960, с. 269.
[4] Г. Уратадзе, Общественное движение в Грузии в 1821-1921 гг., Париж, 1939, с. 179.
[5] ვახტანგ გურული, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011, გვ. 121.
[6] სერგეი მირონოვიჩ კიროვი (ნამდვილი გვარი კოსტრიკოვი) (1886-1934 წ.წ.) – პროფესიონალი რევოლუციონერი, რუსი და საბჭოთა სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, საბჭოთა წითელი ტერორის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და აქტიური მონაწილე. ბოლშევიკი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბსდმპ) წევრი 1904 წლიდან. მე-11 წითელი არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრი და საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1920 წელს.
[7] Communist Takeover and Occupation of Georgia, Special Report No6 of the Select Committee on Communist Aggression, House of Representatives, Eighty-third Congress, Second Session, Under Authority of H. Res. 346 and H. Res. 438. United States Government Printing Office, Washington, 1955, p. 19.
[8] ივანე ნანუაშვილი, რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ, თბილისი, 2012, გვ. 120.
[9] საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდგომში სეა. ცსსა). ფონდი 1969, ანაწ. 2, საქმე 27, ფურც. 149.
[10] ვ. თევზაძე, ქართველი ოფიცრის ჩანაწერები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1990, გვ. 42.
[11] ანატოლი ჰეკკერი (რუს. Анатолий Ильич Геккер) (1888-1937 წ.წ.) – თბილისში დაბადებული და გაზრდილი გარუსებული გერმანელი. რუსეთის საიმპერატორო არმიის ყოფილი ოფიცერი, გენერალიური შტაბის შტაბს-როტმისტი. შემდგომში, 1918 წლის მარტიდან – წითელი მეთაური, კომკორი. I მსოფლიო ომისა და რუსეთის სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე. რუს ბოლშევიკთა მე-11 წითელი არმიის სარდალი 1920-1921 წლებში.
[12] ჟურნალი „კავკასიონი“ XV, Kavkasioni, Recueil littéraire et historique XV (in Georgien), პარიზი. 1971, გვ. 56-57.
[13] სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწ. 4, საქმე 14, ფურც. 1.
[14] სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწ. 4, საქმე 14, ფურც. 2.
[15] სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწ. 4, საქმე 14, ფურც. 4.
[16] იესია ოღიშვილიძე (1865-1936 წ.წ.) – ქართველი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალიური შტაბის გენერალ-ლეიტენანტი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის გენერალი. გიორგის ჯვრის კავალერი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე და სარდალი.
[17] სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწ. 4, საქმე 14, ფურც. 11.
[18] იოსებ (სოსო) გედევანიშვილი (1873-1939 წ.წ.) – ქართველი პოლიტიკოსი და სამხედრო პირი, რევოლუციონერი. დრამატურგი, მწერალი და პუბლიცისტი. რუსეთის საიმპერატორო არმიის შტაბს-კაპიტანი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, 1920 წლის ნოემბრიდან 1921 წლის თებერვლის ჩათვლით სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი. ამ პოსტზე დანიშვნის შესახებ იხ.: სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწ. 4, საქმე 14, ფურც. 13.
[19] გიორგი მაზნიაშვილი (1870-1937 წ.წ.) – ქართველი სამხედრო მოღვაწე და მხედართმთავარი. რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცერი, გენერალ-მაიორი და ქართული არმიის გენერალი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე. გიორგის ჯვრის კავალერი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაური. 1920 წლის დეკემბრიდან ქალაქ თბილისის გარნიზონის უფროსი; ამ პოსტზე დანიშვნის შესახებ იხ.: სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწ. 4, საქმე 14, ფურც. 22. 1921 წლის თებერვალში რუსეთ-საქართველოს ომის სოღანლუღის ფრონტის სარდალი. საქართველოს ეროვნული გმირი.
[20] სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწ. 4, საქმე 14, ფურც. 27-28.
[21] სერგეი კამენევი (რუს. Сергей Сергеевич Каменев) (1881-1936 წ.წ.) – რუსეთის საიმპერატორო არმიის პოლკოვნიკი და საბჭოთა რუსეთის მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარსარდალი, I რანგის კომანდარმი. რუსეთ-იაპონიის, I მსოფლიო ომისა და რუსეთის სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე.
[22] სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწ. 4, საქმე 18, ფურც. 1-8.
[23] ბრესტ-ლიტოვსკის ზავი – ბრესტ-ლიტოვსკში მიმდინარე კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთსა და ოთხთა კავშირის (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ოსმაღეთი და ბულგარეთი) ქვეყნებს შორის, 1918 წლის 3 მარტს დადებული სეპარატული სამშვიდობო ზავი, რომლის ძალითაც რუსეთი გამოეთიშა I მსოფლიო ომს. ამ ხელშეკრულების IV მუხლის მე-3 პარაგრაფის თანახმად არდაგანის, ყარსის, არჰიტუმის რაიონებიდან და ბათუმის ოლქიდან დაუყოვნებლივ უნდა გასულიყო რუსული ჯარები. რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო აღნიშნული რაიონების ეროვნულ და საერთაშორისო ურთიერთობებში, რაც ადგილობრივი მოსახლეობის პრეროგატივა იქნებოდა. ხეორგანიზაცია ამ რეგიონში უნდა გაეგრძელებინა მეზობელ ქვეყნებს და განსაკუთრებით თურქეთს.
[24] აღექსანდრე ზაქარიაძე (1884-1957 წ.წ.) – საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალიური შტაბის უფროსი. ქართველი სამხედრო მოღვაწე, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალიური შტაბის პოლკოვნიკი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალი და პოლონეთის არმიის დივიზიის გენერალი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის, I და II მსოფლიო ომების მონაწილე.
[25] ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წ.წ.), თბილისი, 2001, გვ. 321.

ბიბლიოგრაფია:

1. ბენდიანიშვილი ა., საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წ.წ.), თბილისი, 2001, გვ. 321.
2. გურული ვ., საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921), გამომცემლობა “უნივერსალი“, თბილისი, 2011, გვ. 121.
3. თევზაძე ვ., ქართველი ოფიცრის ჩანაწერები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1990, გვ. 42.
4. ნანუაშვილი ი., რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ, თბილისი, 2012, გვ. 120.
5. ჟურნალი „კავკასიონი“ XV, Kavkasioni, Recueil littéraire et historique (in Georgien), პარიზი, 1971, გვ. 56-57.
6. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი VI, თბილისი, 1973, გვ. 444.
7. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდგომში სეა. ცსსა). ფონდი 1969, ანაწ. 2, საქმე 27, ფურც. 149.
8. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწ. 4, საქმე 14, ფურც. 1.
9. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწ. 4, საქმე 14, ფურც. 2.
10. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწ. 4, საქმე 14, ფურც. 4.
11. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწ. 4, საქმე 14, ფურც. 11.
12. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწ. 4, საქმე 14, ფურც. 13.
13. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწ. 4, საქმე 14, ფურც. 22.
14. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწ. 4, საქმე 14, ფურც. 27-28.
15. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწ. 4, საქმე 18, ფურც. 1-8.
16. Communist Takeover and Occupation of Georgia, Special Report No6 of the Select Committee on Communist Aggression, House of Representatives, Eighty-third Congress. Second Session. Under Authority of H. Res. 346 and H. Res. 438. United States Government Printing Office, Washington, 1955, p. 19.
17. Кадишев А. Б., Интервенция и гражданская война в Закавказье, Военное издательство министерства обороны союза ССР, Москва, 1960, с. 269.
18. Минц И. С., Победа советской власти в Закавказье, Москва, 1929, с. 5.
19. Уратадзе Г., Общественное движение в Грузии в 1821-1921 гг., Париж, 1939, с. 179.